№ 10 იანვარი 15, ოთხშაბათი. 1886 იანვარი 15, ოთხშაბათი № 10.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი.

ქართული თეატრი

ბენეფისი

კ. მ. მაქსიმიძისა

ოთხშაბათს, 15 იანვარს ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ორი ცეცხლ-შუა

სამ მოქ. დრამა ჟირარდენისა, ფრანციულიდამ ნათ. ი. მაჩაბლისაგან.

II

ერთი სცენა შილლერის ტრაგედიიდგან

აკაზაკები

III

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტკა 1 მოქ. მუზ. ოფენბახისა

ანტრაკტებში დაუკრავს ორკესტრი ბ. **მორტორატის** თაოსნობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ტფილისი, 15 იანვარს.

ეხლანდელს ყოფას ბალკანიის პატარა სახელმწიფოებისას რომ კაცი კარგად დააკვირდეს, ბევრს რასმეს საოცარს ჰნახავს. თვითო მუჭა ერი, როგორც მაგალითად, სერბია და საბერძნეთი, ისე ჭირვეულობს, თითქო ერთი ძლიერი და დიდი სახელმწიფოაო. მთელი მორჭმული და ახოვანი ევროპა მისდგომია, იარაღი აიხსენით, ქვეყნის მშვიდობიანობას ძირს ნუ უთხრითო, ისინი ყურსაც არ იბერტყენ, არამც თუ იარაღს არ იხსნიან, არამედ უფრო დიდს აღჭურვასა და მზადებას შეჰსდგომიან. ევროპის დიპლომატია კარგს მეძებარსავით აქედ-იქით დაძვრება რომ როგორმე თავი და ბოლო შეუტყოს ამისთანა გათამამებას ამ პაწია სახელმწიფოებისას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერა გაუწყვია-რა. მართლა და საოცარი ამბავია. მშვიდობის მოყვარე რუსეთმა წინადადება მისცა სხვათა დიდთა სახელმწიფოთა, რომ იარაღი ავაყრევინოთ სერბიას, ბოლგარიას და საბერძნეთსაო; სხვა სახელმწიფოებმაც თანაგრძნობით მიიღეს ეს წინადადება, ამ აზრით მოქმედებაც დაიწყეს და ერთობილი ნოტა გაუგზავნეს ყველას, ვისიც ჯერ იყო, მაგრამ ყველამ უარი განაცხადეს იარაღს არ ავიყრითო.

ცხადია, ან დიდთა სახელმწიფოთა ერრთობილი ნოტა სიტყვით ერთობილია და საქმით კი არა და ეს კარგად იციან წვრილმა სახელმწიფოებმა, ან არა და თვითვეულს გაურჩებულს პაწია სახელმწიფოს ჰყავს ფარული მრჩეველი, ფარული მოსარჩლე, რომელიც დრომდე თავს არ იჩენს, სხვა სახელმწიფოებთან ერთად კაკანებს და კვერცხს კი სხვაგანა ჰსდებს. ერთიც და მეორეც ადვილად დასაჯერია. ჩვენ წინაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის იმისთანანიც არიან, რომელთ გარემოებაც იძულებულ ჰხდის წყალი აამღვრიონ ბადის სასროლად.

ავსტრია ცხადადა ჰხედავს, რომ სერბიის პოლიტიკა აპირობს პირი სხვა მხრივ იბრუნოს და ავსტრიას ზურგი შეაქციოს. კოროლ მილანის მეცადინეობა, რომ შერეული სამინისტრო შეადგინოს, ცხადი ნიშანია მისი თუ,—სერბია საით მიიწევს. მთავარ-მინისტრი სერბიისა გარაშნინი, დიდი მომხრე და ავან-ჩავანი ავსტრიისა, ლამის სამინისტროდამ გადადგეს და ლამის რისტიჩმა, დიდმა მომხრემ რუსეთისამ და ეროვნებულ პოლიტიკის გულითადმა მოწადმართემ, ჩაიგდოს ხელში მთავარ-მინისტრობა. რასაკვირველია, კოროლ მილანს არა ჰსურს ასე მკაცრად მოექცეს ავსტრიას და ძველს თვის მეგობარს აწყენინოს, მაგრამ საქმეთა მიმდინარეობა, ერის სურვილის ძალ-დატანება დღეს სერბიაში იქამდე მივიდა, რომ მილანს არ ძალუძს ყური არ ათხოვოს და ამ სურვილს ერისას არ შეუფეროს თავისი პოლიტიკა. ამიტომაც, რომ არც ავსტრია მოიმდუროს და ერის სურვილსაც პატივი დაჰსდოს, განუზრახავს ისეთი შერეული სამინისტრო შეადგინოს ორთა მოპირდაპირე დასთაგან, რომ ერთსაც გული მოჰფხანოს და აამოს და მეორესაც. არა გვგონია ამისთანა სამინისტრომ დიდხანს თავი დაიჭიროს; ორთა ძირეულად სხვა-და-სხვა აზრთა დენა ერთსა და იმავე სამინისტროში ერთმანეთთან ვერ მოთავსდება,—ეგ წაჯგ-უკუჯგობა პოლიტიკაში მოუხერხებელი და შეუწყნარებელი საქმეა. ცხადია რომ ესე მიმართული პოლიტიკა სერბიისა არ მოეწონება ავსტრიას, რომელსაც დღემდე ხელთ ეჭირა მარტოს მთელი სადავე სერბიის პოლიტიკისა. აქ ხომ არ არის სათავე სერბიის ჭირვეულობისა?

საბერძნეთი არამც თუ ეურჩება მთელს ევროპას, არამედ იმუქრება უომრად ვერ გადაურჩები დღევანდელს დღესაო. რასაკვირველია, საბერძნეთს იმოდენად მოხერხებულნი სახელმწიფო კაცნი ჰყავს, რომ ამას მართლის გულით არ იტყოდა. მაშასადამე ჰსჩანს, საბერძნეთს კაი მოზდილი და მაგარი ზურგი მოუყუდებული უნდა ჰქონდეს. ვისი ზურგია ეს მაგარი ზურგი? ძნელი გამოსაცნობია, თუმცა კი ზოგიერთი ნიშნები გამოსაცნობლად. ამას წინად ხმა გავარდა, ვითომ საფრანგეთის ელჩმა სტამბოლში მეტისმეტის თავაზით და რიდით გადუკრა სულთანს სიტყვა, საბერძნეთს ცოტა რამ დაუთმეო. ინგლისიც ეგრე მოქცეულა, მაგრამ სულთანს მკვახე უარი უბძანებია. აქ ხომ არ არის პაჭიჭის წვერი? ამ ბოლოს დროს ტელეგრამმამ ამბავი მოგვიტანა ვითომ ინგლისის ელჩმა გამოაცხადაო, რომ თუ საბერძნეთი იარაღს არ აიყრის და ზღვაში მოგროვილ თავის ფლოტსა მუქარასავით არ იყოლიებსო, ინგლისი პირეიაში ესე იგი საბერძნეთის წყლებში თავის საკუთარს ესკადრას ჩააყენებსო მშვიდობიანობის დასაცველადაო. საბერძნეთი არამც თუ შეუშინდა ამისთანა მუქარას ინგლისისას, არამედ ბძანებაც მისცა თავის ფლოტს ზღვაში გასვლისა. არავინ არ იცისო, ამბობს ტელეგრამმა, რა განზრახვით არის მიცემული ეს ბძანება, ხოლო ფლოტის უფროსებს ჩააბარეს ბეჭედ დასმული კონვერტები, რომელშიაც ინსტრუქციებიაო. რის მომავლინებელია ამისთანა გამბედაობა პატარა საბერძნეთისა ნამეტნავად მაშინ, როცა ინგლისმა ასეთი მუქარა გამოაცხადა მისდა მიმართ? ამის პასუხი ძნელად გამოსაცნობია. ამას კი ვიტყვით,—არ გვგონია სხვა სახელმწიფოებმა იყაბულონ ინგლისის ესკადრის შესვლა საბერძნეთის წყლებში. ევროპამ ძალიან კარგად იცის, რომ სიფთხილეს თავი არ ასტკივაო. აქაც კვანძია მაგრად შეკრული და დღეს თუ ხვალ დრო და საქმის ვითარება გახსნის.

საფრანგეთმა პირ-და-პირ აუწყა მთელს ქვეყნიერებას ახალ სამინისტროს პირით, რომ ჩვენ გარედ გალაშქრების თავი აღარა გვაქვსო, სრული ჩვენი ძალ-ღონე შინ უნდა მოვატრიალოთო, აქ შინ გავძლიერდეთო. რა თქმა უნდა, ასეთი უცებ მოტრიალებული პოლიტიკა საფრანგეთისა არ ეჭაშნიკება ბისმარკს. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რისთვის და ვისთვის მოქმედობს საფრანგეთი ამ სახით...

Ა'

ფელეტონი

ოცის წლის წინად.

(შემდეგი *)

II

(ძველის მამასახლისის ნაამბობი)

გალობა რომ გაათავა, ნამამასახლისარმა ასე დაიწყო:

— მოგეხსენებათ, ბატონ-ყმობის შემდეგ ბევრს ხანს არ გაუვლია, გლეხებს მიენიჭათ საკუთარი სამართალი და გამგეობა. ხმა გავარდა, რომ დიამბეგობა უნდა მოიშალოსო და გლეხებს მიეცემათ უფლება, ვინც ჰსურთ ის ამოირჩიონო მამასახლისად. იმას «პომოშნიკები» ეყოლება, ისინიც ამორჩევით განწესდებიანო. მამასახლისი თავის საზოგადოებაში დიამბეგის მაგიერი იქნებაო, რაც უნდა იმას იქმსო. ვთქვი გულში, გამითენდა აღდგომა და მაშინვე შევუდექი თავდარიგს. ტანსაცმლით და იარაღით კეთილშობილთან ვერ გამარჩევდა კაცი: მე გახლდი დიდი ბატონის თავადის ს. ა—ლის ოჯახში გაზდილი. მართალია, როცა პაწაწა ვიყავი, ასე ხუთი, ექვსი წლის, შინაური და გარეული ყველა მომძახოდა: შენ უკანონო შვილოვო. დიდხანს ვერ მივხვდი, ასე რათ მიძახოდენ: თვალს არ მაკლდა და კოჭლი არ ვიყავი. სხვები თუ კანონიერნი იყვნენ, მე რატომ არ უნდა ვყოფილვიყავი კანონიერი? ხანდახან ამ ლაპარაკსაც მოვკრავდი ყურს, ვითომც მე ნამდვილი დიდის ბატონის შვილი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ეს დედა ჩემი რომ არსად ჩნდა, ძალიან მაკვირვებდა. არც გვარი მქონდა მისი შვილების; მინდოდა, ძალიან მინდოდა, რომ ჩემთვისაც ბატონის შვილი დაეძახნათ, რომ მეც ოდაში დავეწვინეთ ჩემ ძმებთან; მაგრამ ამ პატივისცემის მაგიერად, ვინც წამეწეოდა, ყველა თავში მიტყაპუნებდა. ვიყავი სამოახლოში გაგდებული, დავტანტალობდი მარტო პერანგის ამარა და ცეცხლთან ნაფიცხი ტიტველი წვივები ნიადაგ დაჩუთრულები მქონდა. ძალიან უკმეხი ვიყავი. რაც უნდა გაველახეთ, თვალებიდან ცრემლი არ გადმომვარდებოდა. დიდის ბატონის შვილებს მუდამ მე ვათამაშებდი. ცოტა რომ წამოვჩიტდი, დიდმა ბატონმა ყურადღება მომაქცია, ჩამაცვა, დამახურა და ქალ-ბატონთან პირფარეშათ დამაყენა. სიმარჯვეში ერთი ფარეშიც ვერ მჯობნიდა. დიდი ბატონი ძალიან ცდილობდა ჩემთვის აზნაურის ტოტი ეშოვნა, მაგრამ ვერა მოახერხა-რა, დავრჩი წრეს გარედ. არც აზნაურებში ვიყავი, არც თავადებში, გლეხობას კი ვერავინ გამიბედავდა.

ცხონებულმა დიდმა ბატონმა მოხდენილათ გამომაწყო ჩერქეზულის ტანსაცმლით, დამკიდა თავის ნაქონი იარაღი, შემსვა კარგს ლაფშაზე და გამხადა თავის საკუთარ მხლებელათ. ჯირითი, სიმღერა, გალობა და მოლხენა ჩემ ხელთ იყო. პირველად დარდი არაფრისა მქონდა. მაგრამ ცხონებული დიდი ბატონი რომ გადამეცვალა, მერე დავუფიქრდი ჩემს მდგომარეობას. თუმცა ბატონის ოჯახი ჩემთვის ყოველთვის დიდი ნუგეში იყო; მაგრამ ამასაც ვფიქრობდი, ვინ იცის დღეს რა მოაქვს, ღამეს რა მოაქვს, მდინარეს რა მოაქვს, ნიაღვარს რა მოაქვს მეთქი. რადგან კარგარეთ დარჩენილს ვგავნდი, ცოტცოტად შევუდექი სარჩო-საბადებლის მოპოებას.

აი, ამ დროს შეიქნა გლეხობაში ლაპარაკი, ახალწლიდან მამასახლისები უნდა ამოარჩიონო. მაშინვე თავში გამიელვა: ან მამასახლისათ უნდა გავხდე, ან კაცი აღარ ვიქნები. აზნაურობის ძიებას თავი მივანებე და ჩემის სოფლის საზოგადოებაში ჩავეწერე. სახლ-კარი კარგი მქონდა სულ ჩემი მარჯვენით მოპოებული. ჩემს სოფელში ბიჭი არ მჯობდა, ვერც ჩაცმა-დახურვით, ვერც მოხერხებით და ვერც გავლენით. დიდის ბატონის ნაყმევები სულ მე შემომტიროდენ. ზოგს ნადელის შესყიდვა უნდოდა, ზოგს თავის დახსნა, ზოგს სამოსახლოს ფულის პატივება. თითო ოროლა მანათს ყოველთვის ვრჩებოდი გასამრიგლოს. დიდს ბატონს რომ ვიახელი, მას აქეთ ფული ჯიბაში არ გამომლევია და მასთან გლეხებიც ძალიან მომადლიერებული მყავდენ. რაღა ბევრი გავაგრძელო, სანამ დიდს ბატონს ვახლდი, პატარა ბატონს მეძახოდენ. რაკი მამასახლისობის შოვნა ყურში ჩამეწვეთა, შემდეგ იმაზედ ფიქრი არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ მაძლევდა.

ჩვენში ერთი თავადის შვილი იყო დიდი ხნიდან დიამბეგათ დაყენებული; მაღალი, შოლტივით ამართული კაცი იყო და სულ სირმით გატყლაპული დაიარებოდა. წვერს ყოველ დილით იფხეკდა და მის მოტიტვლებულს პირს შავი გაწკიპინებული ულვაშები მუდამ აშვენებდა. ლამაზი ქალები ძალიან უყვარდა. საცა კი თვალს შეასწრებდა, ის იყო. გოგმანა მწყერი ადრე თუ გვიან მის მახეში არ გაბმულიყო, არ მოხერხდებოდა. ხუთი, ექვსი იასაული ნიადაგ თან დასდევდა: ერთს უძახოდენ «მანდილოსანთ მალამოს», მეორეს—«მთხოვნელთ მოციქულს», მესამეს—«მასპინძელთ უხუცესს», მეოთხეს—«მეძლვენეთ მორიგეს» და სხვ. რომელს სოფელშიაც მდივანბეგი განიზრახავდა მიბძანებას, იქ ერთის დღის წინად გაჩნდებოდენ იასაულები. მანდილოსანთ მალამო ამოარჩევდა საუკეთესო ლამაზს ქალს იმ სოფელში. დიამბეგისაგან ჰქონდა დაბარებული: ქალი ისეთი უნდა იყოსო, ლოყებზე რძე გადმოდიოდესო და ტუჩებზე ვარდი ეშლებოდესო. მთხოვნელთ მოციქული ტყობულობდა ვის ჰქონდა მდივანბეგთან არძა მისართმევი და ყოველს ამისთანა კაცს ჰკითხავდა: «საფანელი ხომ

---

*) «ივერია» № 9.

დეპეშა

იანვრის 13.

მოსკოვი. გუშინ მოსკოვის უნივერსიტეტმა იდღესასწაულა 131 წელიწადი თავის არსებობისა.

სლუდკოვის მემკვიდრეთა ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა, შიგ 6000 ფუთი ბამბა იყო და როცა მუშები შეცვინდენ და ნაწილ-ნაწილ ჰყრიდენ ბამბას, სახლის იატაკი ჩაინგრა ცეცხლისაგან. 6 კაცი მოკვდა და 16 დაიწვა და დასახიჩრდა. ფიქრობენ, რომ ნანგრევებში კიდევ იქნება რამდენიმე კაცი დატანებული.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ დიდის ამბით გახსნეს სემინარიის სამრევლო სკოლა 40 შეგირდისათვის. ამბობენ, რომ ბევრმა ახალგაზრდა მღვდელმა გამოუცხადა ყოვლად სამღვდელოს მოდესტს, რომ ჩვენ მზათა ვართ ჩვენს ეკლესიებთან გავმართოთ სამრევლო სკოლებიო. სამწყსონი გულ-წრფელად თანაუგრძნობენ ამ საქმესა.

სტამბოლი. აქ მოვიდა ცანკოვი, რომელსაც მინდობილი აქვს კნიაზ მოახსენოს სულთანს, რომ მთავარი ერთგულია მისი და სთხოვს შეიწყნაროს მისი სურვილი და დანიშნოს რუმელიის გამგებლათ. ცანკოვს აქვს აგრეთვე მინდობილი მოურიგდეს პორტასა და საბოლოოდ გაათავოს მასთან საქმე. ყველა ამბობს, რომ ცანკოვი ამ მინდობილობას მალე შეასრულებსო, და შემდეგ რუმელიის ორგანიული სტატუტი შეიცვლება სახალხთა-შორებრივის ცალკე კომისიის მიერ. უთუოდ ოსმალეთი შემოაერთებს მუსულმანებით დასახლებულს რამდენსამე სოფელს, რომელიც აქამომდე რუმელიას ეკუთვნოდა და მთავარიც იტვირთებს რამდენიმე ჯარი სულთნის გამგებლობაში ამყოფოსო. ფიქრობენ, რომ ეს გარემოება მოამშვიდებს ოსმალეთის საზოგადოებას და საგრძნობელი არ იქნება მისთვის, რასაც სულთანი უთმობს მთავარსაო. საბერძნეთისათვის-კი არაფრის დათმობა არ უნდა სულთანს.

ათინა. ინგლისს და აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ელჩებს ერთად წარუდგენიათ საბერძნეთისათვის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: რადგანაც საბერძნეთს არავითარი კანონიერი საბუთი არა აქვს ომი გამოუცხადოს ოსმალეთს, ამიტომ სახელმწიფოები წინააღმდეგნი იქმნებიან, თუ საბერძნეთი რამე მტრობას განიზრახავს ზღვაზე ოსმალეთის წინააღმდეგ. ათინის კაბინეტს დღეს მსჯელობა ჰქონდა ამ ნოტის გამო.

ბრიუსელი. ბელგიის საერო ბანკმა დისკონტი $3\frac{1}{2}$-დამ 3%-დე დასწია.

14 იანვარი.

პეტერბურგი. სენატის დისციპლინარულმა განყოფილებამ გაფრთხილება შეუთვალა ვიტებსკის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარეს კიზილოვს მის გამო, რომ უწესურობა არ მოუსპია ლიუცინსკის საქმის განხილვის დროს და პეტერბურგის სასამართლოს პალატასაც საყვედური გამოუცხადებია ნაფიც ვექილის თ. ურუსოვისათვის მის უწესო ქცევისა და უმართებულო სიტყვისა გამო იმავ პროცესის განხილვის დროს.

Journal de St.-Péterbourg-ი ჰფიქრობს, რომ, თუმცა დელიანისმა უარი ჰსთქვაო, მაგრამ საბერძნეთის მთავრობა არ მოინდომებს განსაცდელს მისცეს თავი; ან-და რა ხელს მიჰსცემსო მაგისთანა ქცევა მაშინ, როდესაც ევროპამ დაადგინაო, რომ არავითარი სამზღვრების ცვლილება არ მოხდეს ბალკანის ნახევარ კუნძულზედ წინააღმდეგ ბერლინის ხელშეკრულობისაო.

ბელგრადი. სერბიის მთავრობას დაუწერია კიდეც მორიგების პირობანი და მიატოვიჩი მალე წავა ბუქარესტსაო. რადგანაც სერბიაში მშვიდობიანობის სურვილმა ძალიან გაიდგა ფეხი, იმედია, რომ შერიგება მალე მოხდება, თუ რომ ბოლგარიის დესპანებიც მიიღებენ თავისის მთავრობისაგან მორიგებისათვის ინსტრუქციასაო.

ახალი ამბავი

⁂ ფინანსთა მინისტრს შეუწყნარებია თხოვნა ქალაქის გამგეობისა, რომ ქალაქის სახლებზედ, პრიკაზის მიერ გაცემულ ვალების გამო მიეცეთ სახლების პატრონებს შემდეგი შეღავათი: რაც სახლებზედ დარჩენილი შესატანი ფული იყო ზედ შეეკეცოს პირვანდელ თავნსა და თავნად დაინიშნოს, ამ თავნის მოსაშორებლად სხვა ვადა უფრო ხანგრძლივი დაიდოს და ყოველ-წლიური შესატანი ფული უწინდელზედ ნაკლები იქმნას.

⁂ ქალაქის გამგეობას ნება მოსვლია,—ქალაქის ლამბარდი გამართოს, ესე იგი, ბანკი, რომელიც სესხის გირაოდ მიიღებს ნივთებსა. რადგანაც პრიკაზის გაუქმების შემდეგ ნივთების დაგირავებით ფულის სესხობა მოისპო და ამისი შესახები საქმეები, აგრეთვე უკვე დაგირავებული და ჯერ არ გამოხსნილი ნივთები სახელმწიფო ბანკს გარდაეცა, ამიტომაც გადაუწყვეტიათ, დაგირავებული უწინდელ პრიკაზში ნივთები სულ 200,000 მანათისა, გარდაეცეს ქალაქის გამგეობას, რომელმაც ეს 200,000 ვალად უნდა ქალაქს დააწეროს, მოშორებამდე შესაფერი სარგებელი აძლიოს და გარდა ამისა ქალაქი თავისს საკუთარს თანხასაც ჩამოიღებს და ამ გზით აწარმოვოს სალომბადრო საქმე. ამას იქით, ქალაქის გაჭირვებული ხალხი, ღვთის მადლით, იძულებულ აღარ იქნება «სსუდნი კასსებს» ჩალის ფასად უგირაოს ნივთები და მამა-სისხლად ილოს ვალი.

⁂ რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ ამ დღეებში სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ცალკე მოხსენება შეიტანა სახელმწიფო რჩევაში და სთხოვს, ნება დართოს ამ წელს ტყის საქმე მოაწყოს კავკასიაშიო.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 27-სათვის მის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსისაგან მოწვეულია ქალაქში ეპარქიალური კრება სამღვდელოებისა. ამ კრებაზე უნდა დაესწრნენ წარმომადგენელნი მთელის საქართველოის სამწყსოისა. განსახილველ საგნებად, სხვათა შორის ყრილობას ექმნება: 1) ტფილისში დაარსებულის ძმობის ანგარიშის მოსმენა და 2) სხვა-დასხვა თვით სამღვდელოების შესახები საგნები.

შემდეგ ეპარქიალურ ყრილობისა, დაინიშნება ტფილისის სასულიერო ოლქის ყრილობა აქაურ სასწავლებლის ეკონომიურ მდგომარეობის განკარგებისათვას სხვა-და-სხვა ღონისძიებათა მისაღებად.

⁂ ეხლა ხანს უმაღლესს სასულიერო მთავრობისაგან გამოცხადდა, რომ აკადემიაში კურს შესრულებულ სასულიერო სემინარიის და სასწავლებელთ მასწავლებლების ერთის ადგილიდამ მეორე ადგილზე გადაყვანა ამიერიდგან მოჰხდებოდეს პეტერბურგის უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორის დაკითხვით და ნება დართვით. აქამდის კი ამ გვარის გადაყვან-გადმოყვანის ნება თვით ეპარქიალურ უფროსს ჰქონდა ხოლმე.

⁂ «თერგის უწყებათა» სიტყვით, წარსულს წელს, ოქტომბრის განმავლობაში თერგის მაზრაში 11 კაცი მოუკლავთ, 18 დაუჭრიათ, 14 ბუნებრივის სიკვდილით მომკვდარა, 3 თავი მოუკლავს, 1 მკვდარი უპოვიათ, 29-ჯერ ცეცხლი გაჩენილა, 1 ქურდობა მომხდარა და 1 ქალი გაუუპატიურებიათო.

⁂ გაზ. «კავკაზის» სიტყვით, ამ დღეებში დაიწყობენ არხეოგრაფიულის აქტების მე-XI ტომის ბეჭდვას. ამ ტომში დაიბეჭდება კავკასიის ისტორიის მასალა მურავიოვისა და ბარიათინსკის მთავარ-მმართებლობის დროსიო.

⁂ ბაქოს გაზეთს «კასპი»-ს გაუგონია, რომ ერთს ფოთელს ინჟინერს ფიქრად მოსვლია — ნავთ-სადგურად პალიასტომის ტბა გაკეთდესო და ამისათვის ეს ტბა შეუერთდეს შავს ზღვას დიდის არხითა, რომელშიაც ხომალდებს თავისუფლად შეეძლებათ სიარულიო. გაზეთი ამბობს, რომ, რადგან ფოთის ნავთსადგური აქამდე ვერ გამოდგა, ეს ფიქრი ინჟინერისა ჭკუაზედ ახლოაო, მით უფრო, რომ როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, პალეოსტომის ტბა ღრმა არის, უერთდება შავს ზღვას და, მაშასადამე, არხის გაყვანა დიდს ხარჯს არ მოითხოვსო.

⁂ გაზ. «მწყემსის» I-ლს ნომერში მღვდელი ნიკ. ფრუიძე იწერება ლეჩხუმიდამ:

«ჰყვიშის სამამასახლისო შესდგება ხუთი პატარას და დიდი სოფლებისაგან. ამ სამამასახლისოში სულ 300 კომლი მცხოვრები ითვლება. ადგილის მდებარეობა და მიწის ნიადაგი აქ, მაინც და მაინც, ურიგო არ არის—ყველა გლეხს შეუძლია, თუ მას მიწა საკმაოდ აქვს, რიგიანად იმუშავა და წელიწადმა მოსცა, ორის-სამის წლის სარჩოც მოინაღვაწოს. თუმც მცხოვრებნი მდიდრები არ არიან, მაგრამ რაც უნდა იყოს, ბევრად თუ ცოტად მცირე ჯამაგირიანის ღარიბის სკოლის შენახვა, ისეთებისა როგორებიც ლეჩხუმში დაარსებულან იმთავითვე—მაინც კარგად შეუძლიათ. ამათ როგორც იქმნა მოახერხეს და 1871 წელში გახსნეს სახალხო სასწავლებელი, როდესაც მთელს რაჭა-ლეჩხუმში ერთი სახალხო სკოლის ხსენებაც არ იყო; მოიპოვეს მასწავლებელი და 150 მანეთი წელიწადში ჯამაგირი დაუნიშნეს. ამ სკოლას, როგორც საზოგადოდ ლეჩხუმის ყველა ღარიბ სკოლებს, იმ თავით უფასოთ გამოუგზავნა სახალხო განათლების მინისტრმა საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სურათები, როდესაც სხვა მაზრებში ამისთანა სახელმძღვანელო წიგნები სკოლებს საფასით ეძლეოდათ. მას შემდეგ დიდ შემწეობას აძლევდა და ყოველს წელს მუქთად უგზავნიდა წიგნებს და სხვა-

---

არ გაკლიათო». საფანელს ეძახდენ მცირე რამე შესაწირავს ან წითლიანს,*) ან ცისფრიანს და ამათ ზედ უნდა დამატებოდა ყვითლიანი გასამრიგლო. ეს უკანასკნელი იასაულის ჯიბეში ჩადიოდა. უსაფანლოთ ვერავითარი არძა და თხოვნა ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

მასპინძელთ უხუცესის მოვალეობა იყო, რომ ყველაზე უფრო შეძლებული ოჯახი მიეგნო: თავადი იქნებოდა, აზნაური, თუ გლეხი, სულ ერთი იყო. დიამბეგის და მისის ამალის რჩენა ამ ოჯახს უნდა ეტვირთა. ამას გარდა სატრფიალო და მოსაიდუმლე ოთახიც იქვე უნდა ყოფილიყო გაწყობილი.

ძღვენთა მორიგეს განკარგულებაში იყო ძღვენის მიღება და გლეხების დარიგება, რომ ბ-ნ დიამბეგთან ისე არ გაებედნათ მისვლა, ხელი არ დაეშვენებინათ. ხელის დაშვენებას იასაული ეძახდა ძღვენის მოტანას.

ბ-ნი დიამბეგი მუდამ მგზავრობაში იყო. დღეს ერთს სოფელში მიდიოდა, ხვალ მეორე სოფელში, ზეგ—მესამეში—და ამ რიგად დროს გატარება ჰქონდა ბატონური. იმ ქვეყნის ბატონი ის იყო და, მართლაც «ბატონს» უძახოდენ.

რადგან დიამბეგის მაგიერი მამასახლისი უნდა ყოფილიყო, მე წინდა-წინვე შევუდექი დიამბეგის მიბაძვას. ასე გაშინჯეთ, მის გარეგან მიხვრა-მოხვრასაც ვსწავლობდი: ან მთხოვნელი როგორ უნდა შემერისხა, ვინიცობაა საფანელი დაჰკლებოდა, ან ლამაზის ცოლის მეუღლისათვის რა საქმე უნდა გამეჩინა, რომ სამის ოთხის დღით ოჯახს გარედ დაეყოხანი.

ამისთანა მოქმედების მეტი თუ რამე მოვალეობა მიუძღოდა ჩემს მომავალს თანამდებობას საზოგადოების წინაშე, იმას როგორ წარმოვიდგენდი. სამაგალითოდ ჩვენი დიამბეგი მყვანდა და წითლიან ცის-ფრიანებს წინ-და-წინ ვითვლიდი. ასე შევსტრფოდი გულში ჩემს მომავალს თანამდებობას.

ბოლოს დადგა ჩემთვის ის ბედნიერი წამი. მოვიდა მოურავის პოპოშნიკი, შეაგროვა სოფლის ხალხი და გამოგვიცხადა დიდის ხელმწიფის მოწყალება: თქვენ ამიერიდგან გძლევათო თქვენი საკუთარი სოფლის სამართალი და, თქვენ იცით, როგორს ჭკუიანს კაცებს ამოირჩევთო. ამ სიტყვებმა გულის ფანცქალი მომგვარა. იმედი მქონდა, რომ პირველ კატინტატად*) მე დამასახელებდენ.

ხალხი გავიდ-გამოვიდა კანცელარიის განიერს ეზოში, შეიქმნა ლაპარაკი, ვინ ამოვარჩიოთ და ვინაო?.. ჩემზე ძალიან ცოტანი ლაპარაკობდენ. დაასახელეს ორი სამი კატიტანტი სულ სახელმწიფო გლეხები. დახედეთ გლეხის უმადურობას, ჩემზე არავინ კარგს არ ლაპარაკობდა: ასე გაშინჯეთ, ჩემის ბატონის ნაყმევნიც კი ცუდად მიხსენებდენ. ვისგანაც თითოოროლა მანათი ამელო ჩემის ბატონის დროს, ყველამ ეს ცხვირში ძმარად წამომადინა: მექრთამე დამარქვეს. თუ რამე ხერხი არ მოვდევი აქ, ცუდად არის ჩემი საქმე-მეთქი. ვიცოდი ორი-სამი ძალიან მყვირალა და ქიჟყინა გლეხები; გავიხმე განზე ისინი, თითოს ჩავუდევი ჩუმად ხელში ხუთ-ხუთ მანათიანი. მოგეცა სიცოცხლე, ამათ სცეს ბუკი. გლეხების კატინტატები ყველა ჩაქოლეს. მუდამ ყვირილმა და ერთმანეთში არევ-დარევამ ძალიან დაღალა ხალხი. დილიდამ დაწყებული მზის ჩასვლამდის სულ კატინტატების რჩევაში იყვნენ. ჩემმა მოყიდულმა კაცებმა ყვირილით და ქიჟყინით იქაურობა აიკლეს. აღარავის ხმა არ ამოაღებინეს. ხალხი დაიშა. ზოგიერთი ისე დაიღალა, რომ პირში ენას ველარ აბრუნებდა. აწ მათთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო მამასახლისათ, ოღონდაც საქმეს ბოლო მოსცემოდა და შინ წასულიყვნენ. ამ დროს გავიხედე, ერთი ძროხა შემოიტუზა ეზოში. ვიფიქრე, მოდი ერთ შტუკას მოვიხმარ-მეთქი. «გამიგონეთ, გამიგონეთ» — დავიყვირე. ხალხი გაჩუმდა. ჩემმა მომხრეებმა რომ ჩემი ხმა გაიგონეს, იმათაც ხმა გაკმინდეს. «ძმებო, ეს დღე წავიდა და ეს არის».

— დაღამდა, დაღამდა. — იყვირა ხალხმა.

— ვინმე რომ არ ამოვარჩიოთ, არ გვარგიათ.

— არ გვარგია.

— ბარემც, მოდით, ასე მოიქეცით.

ყველანი სმენად გადიქცნენ.

— მე ცოტა მოშორებით გავდექი ძროხის პირ-და-პირ და დავიყვირე:

— ვისაც ჩემი თავი მამასახლისად გინდათ, ჩემსკენ წამოდით, ვისაც მეორე კატიტანტი გინდათ, იმ ძროხასთან მიდით,—თითით ვუჩვენე.

ხალხი შეჩერდა.

ვიცოდი, ყველას ეთაკილებოდა ძროხასთან მისვლა.

— რას გაჩერებულხართ - მეთქი, ვინაც ჩემი ხართ, ჩემსკენ წამოდით, ვინც არა, ძროხა ირჩიოს.

ჩემმა მომხრეებმა დაიძახეს: ჩვენ შენსკენ მოვალთ და ვისაც ერჩიოს, ძროხისკენ წავიდეს. იზრიალა ამდენმა ხალხმა და ყველა ჩემსკენ გადმოვიდა. მარტო ჩემი მოწინააღმდეგე კატინტატი დარჩა ძროხასთან. იმათ სიცილი დააყარეს. მე მამასახლისათ ამომირჩიეს. მოურავის პოპოშნიკმა გადამაცვა თავზე მამასახლისის ჯაჭვი, მომილოცა ახალი თანამდებობა. ხალხმა «ურა» დასძახა და დაიშალა. მე სიხარულისაგინ ამ სოფლად აღარ ვიყავი. მაშინვე ისეთი გავიჯგიმე, რომ ჩვენი დიამბეგი წარმომიდგა თვალ-წინ.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება.)

---

*) წითლიანი—თუმანი, ცისფრიანი—ხუთი მანეთი, ყვითლიანი—მანეთი.

*) კატინტატი—კანდიდატი.

და-სხვა საჭირო მასალებს ამ სკოლას «წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება». იმ დროიდამ, უნდა ვსთქვათ, რომ სკოლა თავის დანიშნულებას კარგად ასრულებდა. სამასწავლებლო მართებლობა და მაზრის უფროსები ყველა მუდამ კმაყოფილი იყვნენ ამ სკოლის წარმატებისა და თითქმის სამაგალითოდ მიაჩნდათ ეს სკოლა პირველ დასაწყის სოფლის სკოლებში. მასწავლებელი ყოველთვის ბეჯითად შრომობდა და თავისი მოვალეობა რიგიანად მიჰყავდა. შაგირდები 30—40 დის სკოლაში დაიარებოდნენ და დაწესებულის პროგრამმის შესრულებას რაც შეეხებოდა, ესე იგი სახალხო ელემენტარულ სკოლას სამი წლის კურსით, რიგიანათ ნასწავლნი გამოდიოდენ ბავშვები. ბევრი სხვა პატივსადები ფაქტები შეგვიძლია ვსთქვათ ამ სკოლის სიკარგეზედ, მაგრამ აქ საჭიროდ არ ვრაცხთ, ყველა მოვიყვანოთ. ბოლოს ამ სკოლის ბედი სულ სხვა ნაირად შეიცვალა. ორი-სამი გაიძვერა კაცი არა ხალხში არ გამოილევა. ამისთანა პირებმა შეაგონეს გლეხებს, რომ სკოლა მათთვის საჭირო არ არის, უბრალოდ ხარჯს აძლევს და შვილები უცდებათ. გლეხებმა შეადგინეს განაჩენი და 13 წ. განმავლობაში ნაჭირნახულევი სკოლა გასულს 1884 წელს, ივლისის თვეში დაკეტეს; მშობლებმა ყმაწვილები სკოლაში აღარ გამოუშვეს. ეს საქმე მაზრის უფროსს აცნობეს ნების დასართველად, მაგრამ მაზრის უფროსმა სკოლის დაკეტაზედ მათ უარი უთხრა. მერე თავიანთი შედგენილი განაჩენი და მასთან თხოვნა სკოლის დაკეტვაზე საზოგადოებამ მიართვა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს, ბ. სმეკალოვს. ბატონმა გუბერნატორმა ამის თაობაზე შემდეგი ოფიციალური მოწერილობა გამოგზავნა: «არასოდეს არ შეიძლება და არ იფიქრონ გლეხებმა, რომ ჰქვიშის სახალხო სკოლა უმიზეზოდ დაიკეტოს და ამიტომ გლეხები შეუდგენ ეხლავე სკოლის გახსნას და შვილების სწავლას; გახსნილი სახალხო სკოლები ქუთაისის გუბერნიაში არასოდეს არ დაიკეტებიან უბრალოდ, თუ ისინი თავის დანიშნულებას ცოტათი მაინც ასრულებენ.» ამავე დროს სკოლას მოეშველა ქუთაისიდამ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ისპექტორი ბ-ნი ქორქაშვილი და შეაგროვებინა მამასახლისს გლეხები და აუხსნა, რამდენად საჭიროა სწავლა და რა სარგებლობას მოუტანს მათ შვილებს სკოლა. მასთან აღუთქვა, რომ თუ ისინი სწავლას განაგრძობენ, რაც საჭირო იქმნება სკოლის სახლის შესაკეთებლად, კლასის ნივთების შესავსებლად და სხვა საჭირო მასალების მოსაპოვლად ყოველთვის ქუთაისის სახალხო სამასწავლებლო დირექციაც დაეხმარება სკოლას და გამოუგზავნის რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. ამ სახით ამ ღვთის მოყვარე პირებმა წალმა მოაბრუნეს სკოლის საქმე და ამ წლის გასულს, ოკდომბრის თვეში, ისევ გაიხსნა ერთი წლის დაკეტილი სკოლა, რომელშიაც შეგროვდენ ყმაწვილები და დღეს დაიარება 37 ყმაწვილი.

იმედი გვაქვს, რომ სკოლას არ მოაკლდება აღთქმული შემწეობა დირექციისაგან საჭირო დროს და მასთან «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც» უწინდებურად დაეხმარება ამ სკოლას სასწავლო ნივთებით».

13 იანვარს, ქვრივს გლაფირა კირშნერის სადგურიდამ ვილაც მათხოვარს მოუპარავს პატარა ყუთი, რომელშიაც 120 მანათი ყოფილა. ქურდისა და დანაკარგის აღმოსაჩენად ღონის-ძიება მიღებულიო.

⁂ 12 იანვარს, დესეტნიკ გოლდშმიტს უპოვნია ქუჩაში ვერცხლის ჩაის კოვზი. ვისაც ეს კოვზი ეკუთვნის, ცხადი საბუთები წარმოუდგინოს პოლიციას და კოვზს მიიღებსო.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დრამატიულ საზოგადოების ახალის მმართველობის წევრთა სიაში აკლია მეშვიდე წევრი, ბ. ნიკოლოზ ავალიშვილი.

ნაკვესი

დავით დადიანის სასახლის მთავარდიაკონი ლუკა იოსელიანი ავად გახდა და მთავარმა გაისტუმრა ნასარბოუს მონასტერში, სადაც უნდა ეწამლათ და მოერჩინათ. რამდენისამე ხნის შემდეგ დადიანმა წიგნი მოსწერა ავად-მყოფს: ჩემო ლუკა, ნუ გეშინია, მალე გნახავ, გორდს მივდივარ და გამოგივლიო.

—თქვენის მუხლის ჭირიმე, მთავარო, ნუ მობრძანდებით ჩემ სანახავად. ღმერთს შევხვეწე დავით დადიანის უნახავად ნუ მომკლავ მეთქი და თქვენის ნახვით ჩემ სიცოცხლეს ბოლო მოეღებაო, უპასუხა წერილითვე იოსელიანმა.

* * *

შამილი რომ დაიჭირეს, ბარიათინსკისთან მისი ნაიბები და ლეკები მოდიოდნენ დამორჩილების ნიშნად. ერთმა ნაიბმა ძლიერ დაიგვიანა,-მთელი ორი დღე აცდევინა თურმე ბარიათინსკის; ბოლოს მაინც გახდა.

— შენ რად დაიგვიანე ასე? უთხრა წყრომით სარდალმა.

ნაიბმა აუჩქარებლად და ღირსეულად ჯერ თათრული სალამი მიჰსცა ნამესტნიკს და მერე მოახსენა დინჯად:

—სარდალო, ვინც გვიან მოვა, ის გვიანაც წავაო.

ლელო.

დაბა და სოფელი

სოფ. ალიბეგლო. საინგილოდამ. ამ 30—35 წლის წინად საინგილო წარმოადგენდა სრულიად უცნობს ქვეყანას ქართველთათვის. ინგილონი დროთა ვითარებისაგამო, ძველადგანვე მოწყვეტილნი თავის მოძმე ხალხთ ოჯახისაგან, შთავარდნილ იყვნენ ძლიერის სულთანის ხელში და მათ თავზე ტრიალებდა ცეცხლ-წვიმების გრიგალი. ბინადარს და მკვიდრს ხალხს აღკრძალული ჰქონდა ლაპარაკი საკუთარს ენაზე და აღიარება ქრისტიანობისა. მრავალნი ეკკლესიანი თავის დიდებულობით და შენობათ სიმშვენიერით, განბნეულნი ყოველს ღელეში და ტყე-ღრეში, კარებ დახშული ჰქონდათ და მხოლოდ ხანდის-ხან ღამის მიყრუებულ წყვდიადში მათ ეწვეოდნენ ხოლმე დაშინებულნი ქრისტიანენი მხურვალე ლოცვის გულის სიღრმიდამ აღმოსათქმელად და მათ კედლებზე უსჯულოთაგან დახვრეტილ-გაწიწკნულ წმიდანთა ხატების სამზრებლად. უღელი მონებისა იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, რომ ყოველი ქართველი, ძალად გამაჰმადიანებული, სულით კი ისევ ქრისტიანე, ყოველს წამსა და ჟამს, სახლში თუ კარში, იმასა სთხოვდა მხოლოდ ღმერთს, რომ როგორმე დაეცა და დაესუსტებინა მისი მტერი, განთავისუფლებინა რუსის ძლევამოსილის მხედრობის შემწეობით და მით მიეცა მისთვის შეძლება უკუ-გდებულიყო ულელი და შეერთებულიყო მოძმე ხალხთან. ისრე უცნობი იყო ლეკების ქცევა ინგილოების მიმართ, რომ მკვიდრმა ხალხმა სახელად «წუნკალები» დაარქვა.

მაგრამ მადლობა ღმერთს. აჯა დახაგრულთა ყოვლად-მხილავმა მსაჯულმა შეისმინა. ელისოს სულთანის უსამართლობას ბოლო მოუღო და გაათვითრებულის გმირის შამილის მუქარებსაც კბილები შეალეწა. რუსეთის მხედრობამ ინგილოების შემწეობით სულთანი სძლია და განაძევა. შემდეგ გათამამებულმა შამილმა არა თუ შესძლო ინგილოების განადგურება და დედა-მიწასთან გასწორება, არამედ თვით თავის საბრძანებელითურთ იძლია. ინგილოებმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს: მიესალმნენ მხურვალედ თავის მხსნელთა, გააღეს დახშული კარები ტაძართა და შესწირეს საღმთოები იმას, რომელს ხელთ უპყრია ბედი მთელის ქვეყნის, ჩაგრულთა, დიდებულთა და გლახაკთა.

სულ 25—30 წელიწადია რაც მკვიდრად დამყარდა საინგილოში კანონიერება, წესი და რიგი. მაგრამ ამ ცოტა ხანშიაც ნიჭიერმა ინგილოს ხალხმა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ განათლება-წარმატების გზაზედ. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სამრევლო და სასოფლო სკოლებმა მრავლობით მიიზიდა ჩვილნი ყრმანი და დააწაფა ჩაგრულნი სიტკბოებას მეცნიერებისას. სკოლებმა მიიზიდეს თვით შეწვერულვაშებიანებულნიც და მრავალთ ასწავლა წერა-კითხვა. იქ სადაც ამ 25—30 წლების გამავლობაში ერთი ანბანის და კითხვის მცოდნე არ მოიპოვებოდა, ეხლა ათასობით მოიპოვება, მათ შორის ისეთნიც. რომელთაც თავის მოღვაწეობით შესძლეს ფეხი თვით საქართველოს ლიტერატურაშიაც.

ეხლა ალიბეგლოში და ყორაღანში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლეს მეცადინეობით და კახის უფროსის ბ. მერგულოვის შემწეობით დაარსებულია სამრევლო სკოლანი, რომლებშიაც ადგილობრივ მოძღვრებს გარდა ვაჟებს და დიდ ვაჟ-კაცებს წიგნს ასწავლიან მცოდნენი გლეხნი: დიდად პატივცემული ალიბეგლოს მამასახლისი მასიკო ასლამაზაშვილი და ყორაღანის მცხოვრები არჩილ თამაზაშვილი, პირველი ალიბეგლოში და მეორე ყორაღანში. ამას გარდა კახშიაც იმყოფება ის სკოლა, რომელზედაც კანო როსტომაშვილის და დ. გულისაშვილის მასწავლებლობის დროს ბევრი კეთილი რამ სმენია ქართველთ საზოგადოებას ამ ჩვენის მიგარდნილის კუთხიდამ.

ინგილონი რომ ამისთანა წარმატების გზას ადგანან, ჩვენი მეზობლები ლეკნი ეჭვის თვალით უყურებენ მათ განათლებას გარუსებად მიაჩნიათ და ამ შეცდარის შეხედულობის მიზეზისაგამო არჩევენ საბნელეში ყოფნას.

ღმერთმა ინებოს, რომ საინგილოში უკვე აღგზნებული სიყვარული სწავლის მიმართ უფრო გაღვივდეს და ინგილოს მეზობლებსაც მისცეს შეგნება სწავლა-განათლების სიკეთისა. ინგილოთათვის უფრო საკეთილო იქმნება დამოკიდებულება ჰქონდესთ შეგნებულ მეზობელთან.

ესომ.

დამაკვირდი!

კარგი არ იტყვის პირს ქებას,
არც უკან დაუძრახავსო.
(მეფე ვახტანგ VI.)

⁂

— თუ შენ გაქვს რამე, გამიზიარე, ფასს მოგცემ და თუ თვითონ შენ ხარ რამე, ჩემს სულსა და გულს გაგიზიარებ უსასყიდლოდ. (შილლერი).

⁂

— სიამოვნება და დატკბობა სხვა არა არის რა, გარდა მეტის-მეტად სასიამოვნო ტკივილისა. (ჰეინე).

⁂

— მძულვარების დამალვა და არ გამოჩენა ადვილია, სიყვარულისა ძნელია და გულგრილობისა კი თითქმის შეუძლებელია. (ბერნე).

⁂

— თუ გინდა რომ შეიტყო დედაკაცის სიკეთე და ღირსება, მოიცადე იმდრომდე, ვიდრე სილამაზე დაეკარგებოდეს. (გიბერტი).

⁂

— სპარტის მეფე ლეონიდი სამასის კაცით გაგზავნა მისმა სამშობლომ თერმოპილის ვიწროები გაიმაგრეო სპარსთაგან, რომელნიც თავისის მეფის ქსერქსის წინამძღოლობით აუარებელის ჯარით მოდიოდნენ საბერძნეთზედ. როცა უთხრეს: მაგ ერთი-მუჭა ჯარით რას გააწყობო, მამაცმა ლეონიდმა უპასუხა:

— რისთვისაც მივდივართ, იმისათვის საკმაონი ვართო.

— სპარსნი იმდენი არიან, რომ მათი ნასროლი ისარი მზეს დააბნელებსო, უთხრეს კვლავ.

— უფრო კარგი, ჩრდილში უფრო კარგად ვიომებთო, უპასუხა თავ-გამოდებულმა და უშიშარმა მეფემ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ირლანდიელების საქმე მძიმე ქვასავით აწევს ინგლისელებს გულზე. აგერ რამდენი ხანია, რაც სასტიკი ბრძოლა ამ ორ ერთა შორის სულ მატულობს და მის დაცხრომას კი არაფერი ეშველა. ეს საქმე მეტად ძნელ და მოურჩენელ იარად გადექცა ინგლისის პოლიტიკურს სხეულსა, იმ გვარ იარად, რომ გამოცდილს პოლიტიკურს ექიმებს, ინგლისის სახელმწიფო მკურნალებსაც კი ვერ მოუპოვიათ მისი დამაშუშებელი მალამო. გამოჩენილმა მოხუცმა, ხალხის ვილიამმა, — ესე უძახიან ინგლისელები გლადსტონს, — ვითომ გამოაჩინა ამ გვარი მალამო, მაგრამ ვინდა გამოაცდევინა მას ეს საშუალება. მთელი საზოგადოება მტრულად შეხვდა მისს პროექტს და ბეჭვდითი სიტყვამ ხომ მოართო ყვირილი: «არ გვინდა!» «*Jrish diffikulty*» (ირლანდიის ჭაპან-წყვეტა) «*Jrish difficulty*»-ათ დარქვეს, ოღონდ ამ დაუცხრომელს ხალხს ნუ დაუთმობთ ნურაფერსაო. «*Times*»-სი, მაგალითად, სხვათა შორის, ამბობს:

«ირლანდიელებს რომ ჰქონდესთ სახეში დაემორჩილონ კანონს, როგორც ემორჩილებიან მას ინგლისელები, ისინი რომ სინიდისიანად ასრულებდნენ ყოველიფერს, რაც სავალდებულოა ყველა წოდების კაცთათვის, მათ რომ ჰსურდესთ კეთილი შეერთებულ საკოროლევოსათვის,—მაშინ კიდევ ჰო, ჩვენ უარს არ ვიქნებოდით დაგვეთმო მათთვის ის უფლებანი, რომელნიც აქვთ დიდი ბრიტანიის ერთგულ შვილებს. მაგრამ, რადგანაც ისინი ყოველ დღე აცხადებენ, რომ მათი დაკმაყოფილება არაფრით არ შეიძლება, თუ არ დაუმოკიდებელის ირლანდიის დაარსებითა, რადგანც ჩვენ ნათლად ვხედავთ, რა საშინელს ძალას ჰპოულობენ თან-და თან მათი ნაციონალისტები,— ბავშური სისულელე იქნებოდა ჩვენის მხრით მივსცეთ მათ ხელში ჩვენი დასაკლავი დანა და მათი კეთილ-დღეობის დაარსებით ძირი მოუთხაროთ ჩვენს ქვეყანას».

⁂

თუ რა უსინდისობას ჩადიან ხან-და-ხან ეგრედ-წოდებული მდაბიოთა გასართობარის გამწყობნი, ადვილად შეიძლება დაინახოს მკითხველმა შემდეგი შესაზარი ამბისაგან, რომელიც ამოვიკითხეთ ჩვენ კიევის გაზეთ «Заря»-ში.

ჩვენ ქალაქში, ამბობს ეს გაზეთი, ამას წინად ჩამოიყვანეს ვითომ და «დატყვევებულნი ავსტრალიის ნადირ-ხალხის წარმომადგენელნი.» რომ შეხედოთ მათ, მართლა რომ ნადირები გეგონებათ. ტანზე არაფერი არ აცვიათ, გარდა ერთი პატარა ტყავის ნაჭერისა, რომელიც წინა აქვსთ აფარებული. ხელ-ფეხებზე რაღაც ზიზილ-პიპილები აქვსთ მიკრული, ცხვირში რგოლები, თავზე ფრინველთა ფრთები და სხვა. ერთის სიტყვით, ჩვენ «ნადირ-კაცებს» მართლა რომ საშიშარი შეხედულობა აქვსთ... სადგურში, სადაც ისინი სცხოვრობენ, კედელზე ნახავთ ლერწმის და ხის ისრებს, კოკოსის ხის ნაყოფს და რაღაც აჭრელებულს საკრავს, რომელიც ძალიან ჩამოგავს ბალალაიკას. თავიანთ სხეულს ეს «ნადირ-კაცნი» ქონით იზელენ, რის გამოც მათ ტანს შავი ტალახის ფერი აქვს.

ნეტავ, კითხულობს გაზეთი, მართლა «ნადირ-კაცნი» არიან ეს ხალხი, თუ აქ რამე გაიძვერაობაა ანტრეპრენიორის მხრითაო?

«ერთი კი ნამდვილია, განაგრძობს გაზეთი, რომ იმ «ნადირ-კაცის» მდგომარეობა საცოდავია. დილიდამ საღამომდის საბრალოებს სულ ახტუნებენ და ათამაშებენ ხალხის გასართობად. მათი ცეკვა რაღაც დამთხვეული ხტომაა, გეგონებათ თქვენ წინ კაცი კი არა—მხეცებია. რას არა სჩადიან ისინი? ყლაპვენ სიგარას, ღეჭვენ თამბაქოს, იდებენ პირში ანთებულ წუმწუმას და სხვა. ამას ყოველიფერს «ნადირ-კაცნი» სჩადიან კიეველების გასართობად...

კარგი რამ უნდა იყვნენ ისინიც, ვინც ამ გვარ გართობაში ჰპოულობენ სიამოვნებას.

იუბილეი

იმპერატორის ვილჰელმისა.

ამას წინად ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ 22-ს დეკემბერს გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს შეუსრულდა 25 წელიწადი მას აქედ, რაც სამეფო ტახტზედ აბრძანდა. ამის გამო ბერლინში დიდი ყოფა და ამბავი ყოფილა. აი რას იწერება ამაზედ ინგლისის გაზეთის «*Times*»-სის კორესპონდენტი:

«თუმცა იმპერატორს ვილჰელმს ჰსურდა, რომ ამ დღეს რაც შეიძლება შინაურულად, ტკბილად ჩავლილიყო და დიდი ამბავი და ყოფა არ გამართულიყო, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ ამ დღემ თავისი არ დაიშალა და თავისის ხმაურობით, მხიარულებით და დიდებულობით მოგვაგონა დღე ეგრედ წოდებულის იმპერატორის «ოქროს ქორწინებისა» ამ შვიდის წლის წინად. ყველგან საკვირადღეო საუქმისწულო დღეობა გამოიხატებოდა. ჯერ დილით *Unter den Linden*-ის ქუჩაზედ ფეხი გამოუდგი, უამრავო ხალხი დავინახე იმპერატორის სასახლის წინ და ათი ათასი ხმა, ერთად შეწყობილი, უგალობდა საყვარელს ხელმწიფეს სახელოვანს სიმღერას: *Die Wacht am Rhein*-ს; ყოველ ეკკლესიების სამრეკლოდამ ზარის ცემა ისმოდა და რატუშის ბურჯებიდამ გრიალებდა მუსიკა, ნიშნად მილოცვისა და სიხარულისა. მთელი ქუჩები ქალაქისა მორთული იყო მწვანე ფოთლებითა, ყვავილებითა და ბაირაღებითა; ყოველის მხრიდამ უშველებელ მდინარესავით მოედინებოდა ჯგუფად ხალხი იმპერატორის სასახლესაკენ.

მოშუადღევდა თუ არა, სრა-სასახლის ეკკლესია აივსო და გაიჭედა პრუსიისა და ერთობ გერმანიის წარმომადგენელთაგან. ბრწყინვალება მუნდირებისა და ქალთა მორთულობისა და ტანისამოსებისა კაცს გააოცებდა. ქალებს სადილაო და საბალო მორთულობა დიდის ხელოვნებით როგორღაც ერთად შეერთებინათ: მათი თავ-სახურავები (შლიაპები) გვიმტკიცებდა, რომ შუადღეა და გრძელი შლეიფები კი გვარწმუნებდა, რომ იგინი მოსულან, რათა სამეფო ტახტის წინაშე ერთი განუწყვეტელი გრეხილი შეადგინონ მშვენიერის ფერადებისა.

იმპერატორი ვილჰელმი თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში არც ერთხელ გადაჰსცდენია დანიშნულს საათს. ამ დღეს კი პირველი შემთხვევა იყო, რომ ნახევარ საათით დაიგვიანა.

იმპერატორის მობძანებამდე მოვიდნენ ჯერ გრაფი მოლტკე და თავადი ბისმარკი, რომელმაც სათვალებით მოსილის თვალით გარდაჰხედა იქ თავ-მოყრილ დიპლომატებს და სალამი მისცა. ამ დროს მუსიკა უკრავდა საყვარელს მარშს *des alten Dessauer*.

ბოლოს გაიღო დიდი კარი ეკკლესიისა და შემობძანდა იმპერატრიცა, თეთრის ატლასის კაბით მორთული, წყნარად და დიდებულად წინ წამობძანდა და სვლაში ყავარჯენს იშველიებდა. დადგა თავის ადგილას და დაუწყო ლოდინი. დიდხანს არ მოუნდა ლოდინი და სწორედ იმ წამს, როცა ცამაც ღრუბლი გადაიყარა, ბრწყინვალე მზემ თვისი სხივოსანი შუქი მოაფინა ეკკლესიას და ქოროდ მორთო გალობა: «შენ გადიდებთ, ხელმწიფეო», სწორედ იმ წამს მობძანდა მოხუცი იმპერატორი და წყნარის, მაგრამ მძიმე ნაბიჯით გამოემართა. უკან მოსდევდა მთელი თავისი სახლობა, აუარებელი ამალა, კარის კაცნი და დარბაისელნი.

იმპერატორი პირველ რიგში დაბძანდა, მერე იმპერატრიცა და იმპერატრიცის ერთად ერთი ავადმყოფობიდამ გადარჩენილი და დიდი ჰერცოგინია მეკლენბურგ-შვერინისა, მერე ჰერცოგინია ბადენისა, ასული იმპერატორისა და ბოლოს ტახტის მემკვიდრე. პირ-და-პირ იჯდა თავადი ბისმარკი, მარჯვნივ ეჯდა ინგლისის და იტალიის ელჩი, მარცხნივ— საფრანგეთისა და რუსეთისა.

ცერემონიამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ კაცს ცრემლს მოჰგვრიდა. მთელი ლოცვა დაიწყო და გათავდა ერთის დიდებულის საგალობლითა: «გმადლობდეთ უფალსაო». მას შემდეგ იქადაგა სასახლის მოძღვარმა დოქტორმა კეგელმა, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი დიდის ყურადღებით უსმენდა.

პირველის ნახევარზედ ყველანი თეთრს დარბაზში მოგროვდნენ და აქ მიულოცეს მათს დიდებულებათა. როცა ბისმარკი რიგისამებრ წარსდგა მისალოცავად და დაიხარა, რომ ხელზედ ემთხვიოს იმპერატრიცას, ვილჰელმი მხურვალედ გადაეხვია და ორჯერ ეამბორა. ამავე სახით მოექცა იმპერატორი გრაფ მოლტკესაც».

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი— უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა— 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

14 დღე სამშაბათი. ღირსთა მამათა სინა მთას მომწყდართა. წმ. მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა.

მიიცვალა 329 წ. ვახუშტის სიტყვითა და სხვათა სიტყვით—339 წ. ზოგნი ამბობენ 347 წ. მისი საფლავი სიღნაღის ახლოს. არის ტფილისის სიონში ასვენია ჯვარი ვაზისა, წმ. ნინას თმებით შეკრული. ამ ჯვარით ხელში ქადაგებდა ნინა ქრისტიანობას საქართველოში. მეფე ვახტანგმა ეს ჯვარი წაასვენა [illegible] და იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა საქართველოს. სომეხთა: შობა წმ. იოანე ნათლის-მცემლისა; კათოლიკეთა: გილიარისა და ფელიქსისა. მუსულმანთა: 21 დღე თთვისა რები ულ-ახირ, 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—12—49. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—7. მთვარე ამოდის 12—28 ნღ., ჩადის 11—10 დღ. მთვარე 22 დღისაა.

12 დღე ოთხშაბათი. ღირსისა პავლე თებელისა, იოანე მღვიმელისა. სომეხ. მარხვაა. კათ. პავლე 1-ს მეუდაბნოესი.

გურიამ მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა. იმერეთი შეუერდთა რუსეთს 1810 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—1. ტფილისში მზე ამოდის 7—18; ჩადის 5—8; მთვარე ამოდის 1—30 ნღ. ჩადის 4—54 დილ.

16 დღე ხუთშაბათი. დაცვივნა ჯაჭვთა პეტრე მოციქულისა. სომ. პეტრე მამამთავარისა. კათ. მარცელისა და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—18. ტფილისში მზე ამოდის 7—17; ჩადის 5—10. მთვარე ამოდის 2—24 ნღ. ჩადის 12—25 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	$2\frac{1}{4}$,
„ „ 2 „	2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	$4\frac{1}{2}$,
მე-2 ხარისხისა	$3\frac{1}{2}$,
მე-3 —	3 ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	7 ,
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 ,
2-ის ხარისხ.	4 ,

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა სახელმძღვანელო რუსულის ენისა **Начальный Курсъ русскаго языка для грузинъ)**, შედგენილი გერ. კალანდარიშვილისა, მერვე გამოცემით, რომელიც სრულიად გადაკეთებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ეს ახალი გამოცემა იჰერობს; ლექსიურს განყოფილებას, პირველად შეტანილს წიგნში, ხელ-ახლად შედგენილს რუსულს ანბანს ბეჭდურს და ხელ-ნაწერსა;— განყოფილება სიტყვათა და ფრაზათა შემოკლებულია და მოშორებული გრამმატიკულს განმარტებათა, ქრისტომატიაც გარდაკეთებულია და შეიცავს ახალს: მოთხრობებსა, ლექსებსა, აღწერათა (სურათებიანსა) და თავდება რავდენიმე სურათებიანი მოთხრობით საღმრთო ისტორიიდგან. უწინდებურად გამოცემას ბოლოში აქვს ჩამატებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იჰერობს სამი ათასამდის სიტყვასა. ფასიც დაკლებულია და წიგნი ღირს ცხრა შაურად. ვინც ერთბაშად იყიდის ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად; ვინც წაიღებს არა ნაკლებ ოცდა ათის ცალისა, წიგნი მიეცემა 36 კაპეიკად. გამოცემა აწყვია გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან (**Кавказская книжная торговля**).

8—1

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც შედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 ,	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მაწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 14 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.